საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1414 2016 წლის 18 ივლისი ქ. თბილისი

შპს „მშენებელი 1“-ზე გაცემულ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების 7^1 მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე:

1. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ - გარემოს ეროვნულმა სააგენტომ უზრუნველყოს შპს „მშენებელი 1“-ზე (ს/კ: 239403793) გაცემულ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების №00909 ლიცენზიაში ცვლილების შეტანა, კერძოდ, ლიცენზიით გათვალისწინებული ფართობის, რომლის კოორდინატებია:

№	X	Y
1	4687789	8375084
2	4687690	8375052

3	4687686	8375239
4	4687789	8375274
S=1,9 ჰა,		

შეცვლა სხვა ფართობით, რომლის კოორდინატებია:

№	X	Y
1	374826	4683905
2	374826	4683782
3	374888	4683729
4	374958	4683747
5	374989	4683839
S= 1,91 ჰა.		

2. შპს „მშენებელი 1"-მა (ს/კ: 239403793) ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრულ შეცვლილ სალიცენზიო ფართობზე, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების №00909 ლიცენზიის მოქმედების ვადის ბოლომდე (2027 წლის 11 ოქტომბრამდე), განახორციელოს 209 150 მ³-ის ოდენობის კვარცმინდვრისშპატიანი ქვიშის მოპოვება სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს შესაბამისი დასკვნით (გეოსაინფორმაციო პაკეტი) განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

3. ლიცენზიის მფლობელმა უზრუნველყოს კვარცმინდვრისშპატიანი ქვიშის ტრანსპორტირება ძარაგადახურული სატრანსპორტო საშუალებით.

4. შპს „მშენებელი 1"-მა წიაღითსარგებლობის პროცესში რესურსის ტრანსპორტირებისას, მტვერჩახშობის მიზნით, განახორციელოს სატრანსპორტო გზის წყლით მორწყვა.

5. შპს „მშენებელი 1“ ვალდებულია, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების №00909 ლიცენზიით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე (ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილ ვადაში) განახორციელოს სარეკულტივაციო სამუშაოები.

პრემიერ-მინისტრი _____ გიორგი კვირიკაშვილი